# საჰალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 1 (4540) ● 11 იანვარი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


## საახალწლო ბრწყინვალება თბილისის მე- 9 საჯარო სკოლისა

# ნიჭი, ცოდნა, შემოქმედება – უპირველეს ყოვლისა!



**გრანდიოზული** საახალწლო-საშობაო კონცერტი გაიმართა თბილისის მე-9 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სკოლის დირექტორი **მარინე გიგაური** და მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი **ნანა ზარქუა**. ღონისძიებას ესწრებოდნენ ნაძალადევის რაიონის გამგეობის სოციალური განყოფილების მთავარი სპეციალისტი **მაია ფურცელაძე**, ასევე, სკოლის პედაგოგები და მშობლები.

**„საახალწლო ღონისძიება დაწყებით კლასებში“** – ეს სიტყვები ამშვენებდა კონცერტს, რომელშიც (1-დან მე-4 კლასების ჩათვლით), 210 მოსწავლე მონაწილეობდა. ზეიმი მიმდინარეობდა ლამაზი დეკორაციისა და საახალწლო



ნაძვის ხის ფონზე, სადაც პატარებმა შესანიშნავად შეასრულეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები. კონცერტზე ასევე გაიჟღერა ემიგრანტ ქეთევან ძაძამიას სიმღერებმა. სადღესასწაულო კოსტუმებში გამოწყობილმა პატარებმა, მართლაც თეატრალიზებული სანახაობა წარმოგვიდგინეს.

შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების მიერ შესრულებული: **„ედელვაისი“, „ფიფქებო“, „პეპი“, თოჯინების წარმოდგენა**, **„ბურატინო“**, **„არლეკინო“**, **„მატარებელი“** და სხვა ცნობილი სიმღერები. კონცერტით მოხიბლული მშობლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და თითოეულ მონაწილეს მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ.



მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელის **ნანა ზარქუას** და სკოლის ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა (ხელმძღვანელი **გიორგი ძაძამია**). დიდი ოვაციები გამოიწვია ბავშვების ნამღერმა



**„ალილომ“** და **„ახალი წლის დილამ“**. მოსწავლეებთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგებიც.

საახალწლო ღონისძიების დეკორაციებზე იზრუნეს დირექტორმა **მარინე გიგაურმა** და მისმა მოადგილემ **ელეონორა ფერაძემ**. კოსტუმების დიზაინი კი ეკუთვნოდა **ნანა ზარქუას**. მონაწილე კლასების დამრიგებლები გახლავთ: **თამარ ხელაშვილი, თამარ მაისურაძე, ლელა კვარაცხელია, ნათია მაღლაკელიძე, ნინო ჩალაური, მაია კვესელაძე, ხათუნა ჯორბენაძე, ნელი აბრამიძე, ლანა ფარქოსაძე** და **სალომე კბილაშვილი**.

საგულისხმოა, რომ მე-9 სკოლაში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, რაც სკოლის დირექტორისა და მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელის დიდი დამსახურებაა.

**მარინე გიგაური:** ჩვენი საახალწლო ღონისძიება, ვფიქრობ, ძალინ კარგი გამოვიდა და დარწმუნებული ვარ, ბავშვებს დიდხანს ემახსოვრებათ. მშობლების მოთხოვნა იყო, რომ სკოლაში მოსწავლეების მონაწილეობით გამართულიყო კონცერტი. ბოლო დროს, რატომღაც **დაბადების დღის ცენტრებში** ერთობიან ბავშვები და თითქოს, სულიერებას მოწყვეტილნი არიან.. მოგეხსენებათ, სკოლაში შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების გამართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების სულიერი სამყაროს განვითარებისთვის, ამიტომ ასეთი სახის საღამოების ჩატარებას დიდ პრიორიტეტს ვანიჭებთ. ამ საქმეში გვერდში მიდგანან პედაგოგები, ჩემი მოადგილე **ელეონორა ფერაძე** და მშობლები, ასევე მუსიკის მასწავლებელი და სტუდიის დამაარსე-



გაგრძელება მე-2 გვ.

## გიორგი ლეონიძე



### შენი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ,
შენი მეკვლე ვარ,
– შემოვდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!
ხალხო ქართველო, შენ გაიხარე.
ბედნიერების ვარ მომლოცველი!
ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ
დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!
სამშობლოვ, შენი კერის,
მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაჟღერო მინდა ოცნებით.
მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი
ტრფობის მტყორცნელი,
ყოველდღე შენთვის ბედნიერების
და სიხარულის
ვარ მომლოცველი!

## მილოცვა

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ჩვენს კოლეგას, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს **ნათია ბურბენიძეს** და ცხოვრებაში ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს უსურვებს.

**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**



სასწავლო პროცესი 131-ე საჯარო სკოლაში

# მაღალ შედეგებზე არიან ორიენტირებულნი

**იგი** ერთ-ერთი მოწინავეა თბილისის სკოლებს შორის ე. წ. „აფრიკის დასახლებაში". 2011 წელს, ოპტიმიზაციის შედეგად, შემოუერთდა 201-ე საჯარო სკოლა, შესაბამისად, პედაგოგთა და აღსაზრდელთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა.

სკოლის დირექტორი გახლავთ კონკურსის წესით არჩეული, გამობრძმედილი, ენერგიული, სიახლეების ინიციატორი პედაგოგი **ხათუნა ენუქიძე**. მანამდე იყო დაწყებითი კლასების ჩინებული მასწავლებელი.

დირექტორად არჩევის პირველსავე წელს სასიკეთოდ დაეტყო სკოლას ქალბატონი ხათუნას ხელი. იდეალურად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. გაკეთდა სკოლის გარე და შიდა რემონტი. მათ შორის 5 საკლასო ოთახი საკუთრივ სკოლის სახსრებით ჩადგა მწყობრში. გამოიყო რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია როგორც თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ისე ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო მასალით. სწავლა-აღზრდასა და მათ სკოლის ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფენ გამოცდილი კოორდინატორი **გულნარა ხატიპოვა**, ორი სპეციალური მასწავლებელი **ეთერ სამუშია** და **მეგი ხუნაშვილი**, გამოცდილი ფსიქოლოგი **ლაშა მაჭარაშვილი**. მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ღონისძიებაში **„საახალწლო ზღაპარი"**.



სპეციალურად გამოიყო და სათანადოდ აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტი, სადაც მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს ექიმი – **ნაირა გვენეტაძე**.

სკოლის მიზნებისა და ამოცანების შედეგიანად განხორციელებაში დირექტორს ერთგულად მხარში უდგანან მოადგილე, სერთიფიცირებული ისტორიკოსი, **თამარ მაჭარაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი, **ნანა მირზალაშვილი**, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეა გამორჩეული ახალგაზრდა **ნელი ასლანიანი**.

ხარისხიან სწავლებაში მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული სკოლის თითოეული მასწავლებელი. აქ დღესდღეობით მუშაობს 45 პედაგოგი, რომელთაგან 27 პრაქტიკოსია, ხოლო 18 – უფროსი სტატუსის მქონე.

საგნობრივ კათედრებს უნარიანად უძღვებიან ხელმძღვანელები: ქართული ენისა და ლიტერატურისა – **ინგა რუსია**, საზოგადოებრივი მეცნიერებისა – **მზია გოგოლაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა – **მანანა მაისურაძე**, მათემატიკისა – **ნანა ფირცხალავა**, უცხო ენებისა – **ლია პაპაშვილი**, ესთეტიკური აღზრდისა – **ლია მესტვირიშვილი**, დაწყებითი კლასებისა – **ხათუნა კვიჟინაძე**.

შთამბეჭდავია 131-ე საჯარო სკოლის აღსაზრდელთა მიღწევები. შარშან საგნობრივ ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 30 მოსწავლემ და პირველი ტური გადალახა 11 მოსწავლემ.

რუსულ ენაში ჩატარებულ ოლიმპიადაზე იყოჩაღა და პირველი ადგილი არავის დაუთმო **ოფელია მურადოვამ**. იგი საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისათვის დაჯილდოებულია კომპიუტერით. **ზინა ბადოევა** და მისი მასწავლებელი კი დაჯილდოვდა 500 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით.

ეროვნული გამოცდები წარმატებით გაიარეს **არკადი ასატურიანმა** და **ილონა ვართანოვამ**, მათ 50% გრანტი აიღეს, ხოლო **ოფელია მურადოვამ** 70% გრანტი დაიმსახურა.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა ამ სკოლაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ. სხვა დროს სხვა მიღწევებით გაგახარებთ.

**დამდგარ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 131-ე სკოლელებო. გისურვებთ წარმატებებს. გვჯერა, უფრო გაბრწყინდებით.**

**ივერი კინდღელი**





1-ლი გვერდიდან

ბელი **ნანა ზარქუა**, რომელიც სკოლაში კონკურსის საფუძველზე მივიღეთ. ქალბატონი ნანა გემოვნებიანი შემოქმედია და ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ბავშვებს შეაყვაროს ქართული ხელოვნება, მუსიკა, სიმღერა, ეს ყველაფერი ძალიან კარგად გამოსდის. სტუდია წელს ჩამოყალიბდა და კონკურსის წესით შეირჩა ბავშვები. აქ ფუნქციონირებს საესტრადო განყოფილება. ვოკალის პედაგოგი გახლავთ **ნანა ზარქუა**, ქართული სიმღერებისა და საკრავებისა – **გიორგი ძაძამია**, ვიოლინოსი – **კესო ბურჭულაძე**, გიტარის კლასისა – **გიორგი გადელია**.





სტუდიას ასევე დაემატება თეატრალური ჯგუფი, რომლის რეჟისორია **ჯარჯი შუქიაური**. ბატონი ჯარჯი ცნობილი მწერლის **გოდერძი ჩოხელის** ახლობელია და იგი გახლავთ არამარტო რეჟისორი, არამედ მსახიობი და პოეტი. სწორედ, ჯარჯი შუქიაურმა დადგა სპექტაკლი **„გალაკტიონის დემონები"**, სადაც მე-9, მე-10 და მე-12 კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. საამაყოა ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ თეატრალურ ფესტივალში, აღნიშნულმა სპექტაკლმა ნაძალადევის რაიონში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველოს მასშტაბით, თუ რა წარმატეტები ხვდა წილად, მარჯანიშვილის თეატრში, მალე გახდება ცნობილი. აქაც გამარჯვებას ვუსურვებთ.

მე-9 საჯარო სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და კარგი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა. მოსწავლეები სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში წარმატებით მონაწილეობენ, საიდანაც სიგელებით და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.



2017 წელი, დაე, თქვენი გამარჯვებისა იყოს!

**მზია გოგოძე**



თბილისის 107-ე საჯარო სკოლა ევროპული სტანდარტების მხარდამხარ

# სწავლების მაღალი ხარისხი და ოქროს მედლები



**სახელოვანი** 107-ე საჯარო სკოლა ლილოს დასახლების მშვენებაა. ის ერთ-ერთი წარმატებული, მდიდარი ტრადიციებით გამორჩეული საგანმანათლებლო დაწესებულებაა გარეუბნის სკოლებს შორის.

ეთნიკურად მრავალფეროვან მოსწავლეთა შორის შესაბამისი ტოლერანტული გარემოა შექმნილი.

საქმის სიყვარულით და ენთუზიაზმით გამოირჩევა ახალგაზრდა, მენეჯერული ნიჭით დაჯილდოებული დირექტორი **გიორგი ერაძე**.

მან სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დახმარებით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია: გარემონტდა სააქტო დარბაზი, დერეფნები, ბუფეტი, მაგიდის ტენისის ოთახი, თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. წიგნადი ფონდით გამდიდრდა ბიბლიოთეკა. შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისთვის გამოიყო და შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით დაკომპლექტდა რესურსოთახი.

სასკოლო ცხოვრების წინსვლა-წარმატებაში დირექტორს მხარში უდგანან და მუხლჩაუხრელად ილვწიან მოადგილეები: **ზურაბ ჭინჭარაული** და **ეკატერინე ზარნაძე**, კვალიფიციური და მოტივირებული პედაგოგები. მასწავლებლები ყველა სიახლეს მხარს უბამენ, მათ რიგებშია 38 უფროსი მასწავლებელი, ხოლო ფილოლოგიის დოქტორი **მაყვალა დავითაძე** წამყვანი პედაგოგია.

სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას ხელს უწყობენ საგნობრივი კათედრების გამოცდილი ხელმძღვანელები: ქართული ენისა და ლიტერატურისა – **მ. ჭინჭარაული**, მათემატიკისა – **ჟ. კუპატაძე**, უცხო ენებისა – **ნ. ლობჟანიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისა – **ი. სირაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა – **ი. აბრამიშვილი**, დაწყებითებისა – **მ. მახათაძე**, ესთეტიკისა – **ს. ოსიაშვილი**.



სასკოლო საქმიანობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეურვეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია კომპეტენტური და სკოლის გულშემატკივარი პიროვნებებით.

სკოლას ახალისებს და თავისებურ ხიბლს მატებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სისტემატურად ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი და საქველმოქმედო ღონისძიებები. მოსწავლეები მეგობრობენ ახალგაზრდა პოეტებთან. ტრადიციად იქცა ერთობლივი შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. მოსწავლეების მიერ ჩამოყალიბებული კლუბი **„ტოლერანტი თაობა“** მრავალი ჰუმანური აქტის ინიციატორია.



სკოლა არ ღალატობს თავის ტრადიციებს და სასწავლო წლის ბოლოს იმკის მთელი წლის განმავლობაში გაწეული შრომის ტკბილ ნაყოფს. ე. ი. ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა, **„რა სიუხვეა, რა სიმრავლეა“**, სახელმწიფო გრანტის მფლობელთა რიცხვი არ კლებულობს.

შარშან ოქროს მედალზე სკოლა დაამთავრეს: **მარიამ დავითაშვილმა**, **თათია წიკლაურმა** და **კობა კეკენაძემ**. მიმდინარე სასწავლო წელს კი ოქროს მედლის კანდიდატები არიან: **მარიამ ქისტაური**, **ლია ხვადაგიანი**, **ქეთევან მერაბიშვილი**, **თათია არაბული**, **თამაზ ხუციშვილი**, **ანა** და **მარიამ ქუქჩიშვილები**. ახალი წელია და ვუსურვებთ მათ წარმატებებს!



107-ე საჯარო სკოლა ბოლო წლების განმავლობაში გამორჩეულია საბაზო საფეხურზე წარმატებული მოსწავლეების რაოდენობით, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პერსონალური კომპიუტერებით.

მართალია, ამჯერად სკოლის ცხოვრების ყველა სფერო ვერ გავაშუქეთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი მთელი შემართებით ირჯება და იხარჯება.

ამ თემაზე ალბათ შემდეგში მოგვიწევს საუბარი.

სადაც ასეთი მონდომება და საქმის სიყვარულია, გამარჯვებაც იქ არის.

**შობა-ახალ წელს გილოცავთ და მომავალ წარმატებებს გისურვებთ, 107-ე სკოლელებო! ეს ახალი წელი თქვენი გამარჯვებისა იყოს.**

**ივერი მესხია**





ყველაფერი – ევროპული სტანდარტების დონეზე

# სკოლა „ლომისი“ სიმაღლეებს იპყრობს



დირექტორი
**თამარ ბარძიმაშვილი**

**თბილისში**, გლდანის მე-4 მ/რ, ხიზანიშვილის ქუჩაზე, კერძო სკოლა „ლომისი 1“ 1995 წლის 7 ივნისს, ლომისის წმინდა გიორგის ხსენების დღეს დაარსდა და სახელწოდებაც ამის მიხედვით შეარჩიეს. ახალი სტანდარტების შენობა ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, აღჭურვილია უსაფრთხოების მექანიზმით, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და სასწავლო ინვენტარით. სკოლას საკუთარი ჰიმნი და დროშა აქვს, რომელიც **ლომისის წმინდა გიორგის ხატის ოსმალეთში წაბრძანების ლეგენდას**



ხათუნა ხუგაშვილი

უკავშირდება და მისი ავტორი **ირაკლი ღობნელიშვილია.** ჰიმნის ტექსტის ავტორი სკოლის ყოფილი მოსწავლე **ლევან მურუსიძე**, ხოლო მუსიკის ავტორი – მუსიკის პედაგოგი **ირმა მეფარიშვილია.**

სკოლის დამფუძნებელი ორი მშვენიერი, უაღრესად ერუდირებული და გულთბილი ქალბატონი გახლავთ – დირექტორი **თამარ ბარძიმაშვილი** და სკოლის ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი **ნანა არჩვაძე**. ორივე დედაუნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, სოლიდური პედაგოგიური გამოცდილებით, ქალბატონი თამარი ფილოსოფია-ფსიქოლოგიის სპეციალისტია, ქალბატონი ნანა კი – ისტორიკოსი.

სკოლის მართვას დამფუძნებელთა საბჭო, დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და დისციპლინარული კომიტეტი ახორციელებს.

ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში დამფუძნებელთა გვერდით დგანან: **ხათუნა ხუგაშვილი** – ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მენეჯერი, **ზურაბ ზირაქაშვილი** – მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი და **თინათინ ხარებაშვილი** – დირექტორის თანაშემწე, საქმისმწარმოებელი. სკოლა **„ლომისს“** ერთი წამყვანი პედაგოგი – **ნაზი ანდღულაძე** (ისტორია, გერმანული) და რამდენიმე უფროსი მასწავლებელი ჰყავს: **იაგო ელერდაშვილი** (სამოქალაქო განათლება, უნარები), **ნინო თოდუა** (დაწყებითი, ბუნება, მათემატიკა), **ილონა იაკოვლევა** (რუსული ენა), **ლია მაისურაძე** (მათემატიკა), **ნანა მჭედლიძე** (რუსული ენა), **მარინე ქართველიშვილი** (ბიოლოგია), **ლია წილოსანი** (ქართული ენა-ლიტერატურა), **ხათუნა ხორგუაშვილი** (მათემატიკა), **გრიგოლ ჯაფარიძე** (ფიზიკა). წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა კათედრაზე პრაქტიკოსი პედაგოგები: ქართული ენისა და ლიტერატურისა – **მარი გოგალაძე** და **მანანა კოკილაშვილი**; მათემატიკისა – **ლეილა ქირთბაია**, **ლელა მიხაილიდი**, **ლევან ლორია** (აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლები), **ნინო ბაბუხადია** (აგრეთვე ისტორია); ინგლისური ენისა – **ნათია ხუსკივაძე**, **ნანა ჯალაღონია**, **ნინო მეტრეველი**, **ნინო ამბოკაძე**; **მარი გუგეშაშვილი** (ისტორია); **თეა გვარჯალაძე** (ქიმია); **მანანა ამბროლაძე** (ხელოვნება); **ნაირა ხეჩუმაშვილი** (სპორტი); **ლევან ხელაშვილი** (საგზაო ნიშნები); **ნინო კალანდაძე** (დაწყებითი, მათემატიკა); დაწყებითი სწავლის პედაგოგები: **სოფიო ბარბაქაძე**, **თეა ქვრივიშვილი**, **მარინე გაჩეჩილაძე**, **იზოლდა ჟღენტი**; **სოსლან საბანოვი** (რელიგიურ და მითოლოგიურ მსოფლმხედველობათა ისტორია) (ფაკულტატური).

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს საკუთარი თვითმმართველობა ჰყავთ (თავმჯდომარე – **მარიამ ბაკურაძე**), რომელიც ადგენს მთელი წლის სამუშაო გეგმას. ამ ჯგუფის ინიციატივით სკოლაში საფოსტო ყუთი **„წერილი დირექტორს“** დაიდგა, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია თავისი შეხედულებები და სურვილები მისწეროს დირექტორს.






სკოლაში სასწავლო პროცესი უახლესი მეთოდებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს. წელიწადში ოთხჯერ ყველა ძირითად საგანში მონიტორინგული წერები ტარდება. მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 14 დასახელების ოლიმპიადაში, სადაც I, II, III ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მე-6 კლასელი **ლუკა ხიზანბარელი „კინგსმა“ „სვოტჩის“** საათით დააჯილდოვა. ყოველ წელს საინტერესო პროექტებითა და შიდა სასკოლო კონფერენციებით ალამაზებენ სასწავლო პროცესს. მოწვეულ სტუმრებს შორის არიან უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებიც კითხულობენ ლექციებს და აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებსა თუ პრეზენტაციებს. 2 წელია სკოლაში ფუნქციონირებს კემბრიჯის ჯგუფი (ხელმძღვანელი **ლია ჯინჭარაძე**), სადაც ბავშვებს ამზადებენ **A** და **B** დონის სერთიფიკატებისთვის, რომლებსაც ინგლისიდან აგზავნიან. შარშან, ერთი C სერთიფიკატიც აიღეს.

ქალბატონი თამარი განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს **„კატის“** ტიპის შიდა საგამოცდო სისტემა. კომპიუტერულ ქსელში პედაგოგებს შეაქვთ პროგრამები და **„კატის“** გამოცდების ანალოგიურად მე-11-12 და მე-8 კლასში ატარებენ გამოცდებს **ისტორიასა** და **გერმანულში**. ახლა უნდა დანერგონ **ქართულსა** და **გეოგრაფიაში**. ეს პროგრამა წამყვანმა პედაგოგმა **ნაზი ანდღულაძემ** შექმნა და თავისივე ავტორობით ჩატვირთა კომპიუტერებში, შედეგად კი ძალიან ეფექტური **„კატის“** შიდა გამოცდების სისტემა დაინერგა.

სკოლა **„ლომისმა“** მონაწილეობა მიიღო ქართულ-გერმანულ საერთაშორისო პროექტში **„გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“**, რომელიც 2015 წელს დაიწყო. აქ ჩართულები არიან ავსტრიელები და გერმანელები, უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, 1000-მდე ადამიანი, რომელსაც აფინანსებს **იუნესკო** და აღმოსავლეთთან პარტნიორობის გეგმაში შედის.

ზაფხულში პედაგოგებს ტრენინგები ჩაუტარდათ, **გოეთეს** ინსტიტუტიდან დაიწყო და შემდეგ **კვარიათში** გაგრძელდა, სექტემბერში კი კონფერენციაზე, რომელიც საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობას ეხებოდა, მოხდა თემების არჩევა. დეკემბერში დასკვნით საერთაშორისო კონფერენციაზე **ავსტრიიდან** ჩამოვიდნენ გარემოს დაცვისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ბიოლოგები, ვენის აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი და სხვები. სკოლამ აირჩია თემა წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები პროექტის ხელმძღვანელ, პედაგოგ **ნაზი ანდღულაძესთან** ერთად, გლდანის ტბას ესტუმრნენ, დაასუფთავეს, წყლის გამოკვლევა ჩაატარეს. შემდეგ ყველაფერი გერმანულად დაწერეს და ჩააბარეს. მთავარი მიზანი ცნობიერების ამაღლება იყო.





**ნანა არჩვაძე** – ხარისხის განვითარებისა და მართვის მენეჯერი

**„Facebook“** გვერდი შექმნეს, სადაც სხვა ბავშვებსაც მიაწოდეს ინფორმაცია. გეოგრაფიის პედაგოგ **მარი სადრაძესთან** ერთად ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელსაც საკმაოდ დიდი შრომა უძღოდა წინ. ბავშვებმა გერმანულად შეისწავლეს ის საბუნებისმეტყველო ტერმინები, რომლებიც გარემოს დაცვას სჭირდება. და ბოლოს, საკმაოდ ორიგინალური **„ფლეშმობი“** – მწვანე ძაფით ქსელის გაბმა, ობობას ქსელის მსგავსად. 5-6 ადამიანით დაწყებული ქსელით გამვლელებიც დაინტერესდნენ, სურდათ გაეგოთ, რა ხდებოდა, თავადაც ჩაერთნენ **„„ქსელის გაბმაში“** და მიიღეს ინფორმაცია ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

პროექტი კვლავ გრძელდება, თებერვალში პედაგოგები მიწვეულები არიან კონფერენციაზე, ამჯერად, მცენარეთა დარგვის განსაკუთრებულ მეთოდებთან დაკავშირებით. ეს არ იყო მხოლოდ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული პროექტი, კონფერენციას ესწრებოდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის პედაგოგებიც. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დაიბეჭდა სპეციალური კრებული გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე. სკოლა **„ლომისის“** პროექტი 12 გამარჯვებულთა სიაში მოხვდა და კრებულში შესულ პროექტთა სიაში პირველია.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ სკოლას ჰქონდა საკმაოდ ბევრი ეტაპი, აქტივობა და ორმაგი დატვირთვა – გერმანულ ენაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ბიოლოგიის, გეოგრაფიის ცოდნა.

ჯანსაღი მომავალი თაობის

გაგრძელება მე-5 გვ.



ინგლისურის პედაგოგი – **ნინო ამბოკაძე** 1ა კლასში



სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ ახალ სიმაღლეებს იპყრობს

# მთავარი მისია წიგნიერი თაობის აღზრდაა

*„ცოდნა სიმდიდრეა. მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება“.*

*ილია ჭავჭავაძე*

**სწორედ** ცოდნა და განათლება უმთავრესი პრიორიტეტი სკოლა-ლიცეუმ **„ცოდნა“**-ში, რომელიც თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე, 108 ნომერში მდებარეობს. იგი 21 წელიწადია ფუნქციონირებს და გამორჩეულია დედაქალაქში არსებულ სასწავლო დაწესებულებებს შორის, რომელიც ზრუნავს არა მარტო განათლებაზე, არამედ მოზარდების პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოზარდებმა თავი კომფორტულად და დაცულად იგრძნონ. სკოლას ამშვენებს მოწესრიგებული და ყვავილებით მორთული ეზო, შენობა ორსართულიანია და კეთილმოწყობილი, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, ფუნქციონირებს კაბინეტები, ბუფეტი და ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა ლიტერატურით, კომპიუტერითა და ინტერნეტით. დერეფნები და სასწავლო ოთახები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებით, ბავშვების ნახატებითა და კედლის გაზეთებით. მოსწავლეები სკოლაში ფორმით დადიან და მათ ემსახურებათ კომფორტული მიკრო-ავტობუსები. ერთი სიტყვით, აქაურობას, მართლაც ეტყობა გემოვნებიანი, გამოცდილი პატრონის ხელი




სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებელი და დირექტორი უაღრესად კეთილშობილი პიროვნება გახლავთ. შესანიშნავი მმართველია **ნაზი ნადირაძე**. იგი ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რათა ლიცეუმი იყოს დედაქალაქში ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო დაწესებულება. ქალბატონ ნაზის თითოეულ ლიციანტთან განსაკუთრებულად თბილი, მეგობრული დამოკიდებულება აქვს, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციას და წარმატებისკენ სვლას. ლიციანტები მუდამ წარმატებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს. მოსწავლეები ხშირად იმარჯვებენ სხვადასხვა ოლიმპიადებში და შემოქმედებით კონკურსებში, საიდანაც სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

**ნაზი ნადირაძე** ღვაწლმოსილი პედაგოგია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საგანმანათლებლო სფეროში. იგი, წლების განმავლობაში 71-ე სკოლაში გეოგრაფიის მასწვლებლად მუშაობდა, შემდეგ – დირექტორის მოადგილედ, მოგვიანებით დირექტორად დააწინაურეს. პარალელურად კი, სკოლა-ლიცეუმი დააფუძნა. ქალბატონმა ნაზიმ, რეფორმის შედეგად, დირექტორების გამოცდაც ჩააბარა და საჯარო სკოლაში წარმატებით მოღვაწეობის მიუხედავად, პრიორიტეტი მაინც კერძო სექტორს მიანიჭა.

მას ძალიან უყვარს თავისი პროფესია, მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე, სისტემატურად ეცნობა თანამედროვე სიახლეებს და მონაწილეობს საინტერესო პროექტებში. მისი კაბინეტის კედლები დამშვენებულია მრავალი სიგელით, დიპლომითა და სერთიფიკატით. განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, **ნაზი ნადირაძე** დაჯილდოვდა **„საქმიანი და წარმატებული ქალი -2016“**-ის დიპლომით.





**ნაზი ნადირაძე**: მასწავლებლობა – ჩემი მოწოდებაა, რაზეც ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. ჩემს მშობლებს უნდოდათ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ პედაგოგობა ვამჯობინე, რასაც არ ვნანობ. ბავშვები ძალიან მიყვარს და მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ასე რომ, ვაკეთებ იმ საქმეს რომელიც გამომდის და მიყვარს. ყოველთვის ვცდილობ, მოსწავლეებში ცოდნის ხარისხი გავაღრმავო. ჩვენი სკოლა-ლიცეუმის მისიაა – **კულტურული, სოციალური, პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის ჰარმონიული და ეფექტური გარემოს შექმნა, რათა აღვზარდოთ წიგნიერი, შემოქმედებითი, მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე თაობა.**

ლიცეუმში არის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები. სკოლაში 310 მოსწავლეა.

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-4 გვერდიდან

აღზრდაში ყველას თავისი წვლილი შეაქვს, პედაგოგიური კოლექტივის გვერდით დგანან და თავისი საქმის სპეციალისტები არიან: პიარმენეჯერი **ნინო ფორჩხიძე**, ექთანი **ლელა კევლიშვილი**, ბუღალტერი **ლალი ხარებაშვილი**, დაცვის თანამშრომელი **ტარიელ ოდიშვილი**, დარაჯი **ნოდარ ბეგლარაშვილი**, დამლაგებელი **ნანა ჭანტურია** და ბიბლიოთეკარი **ლენა არდაზიშვილი**, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით ზრუნავს თითოეული მოსწავლის სულიერების ამაღლებაზე. მიღწევებში მალევე დარწმუნდებით, როცა სკოლის შესასვლელში კედელზე გაკრულ ჯილდოებს, დიპლომებსა თუ სიგელებს დაათვალიერებთ. სკოლას საკუთარი ვებგვერდი აქვს, სადაც ყოველდღიურ საქმიანობასა და ღონისძიებებზე წერენ.



ისტორიის პედაგოგი **მარი გუგეშაშვილი** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში (მე-8 კლასი)

**სკოლა „ლომისი 1“, საქართველოს ლიდერი საწარმო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი სტატისტიკური რანჟირების მიხედვით, კრიტერიუმის – „დაქირავებულთა თვიური ანაზღაურება“ საქართველოს საწარმოების საყოველთაო სახელმწიფო რეიტინგების შემუშავების დასრულების შესახებ, 2014-2016 წლების შედეგების მიხედვით, დაჯილდოვდა „რეიტინგი ოქრო“ სერთიფიკატით და „კედლის ოქროს მედლით“ საქართველოს ტოპ-60 ლიდერ საწარმოთა შორის.**

შარშან სკოლა **„ლომისს“** არსებობის **20 წელი** შეუსრულდა და ეს ღირსშესანიშნავი თარიღი რაიონის გამგეობამ გრანდიოზული ღონისძიებით აღნიშნა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში. მწვერვალების დაპყრობა იოლი არაა, ისინი კი ამ გზაზე უკვე წარმატებებს აღწევენ და როგორც თავად ამბობენ: **„წინ წავალთ ცოდნით და ნიჭით“**.

**შობა-ახალ წელს გილოცავთ, „ლომისელებო“ და მასთან ერთად ამ დიდ წარმატებას!**

**ნათია გურგენიძე**



პედაგოგი **მარინე გაჩეჩილაძე** III[ბ] კლასში



სკოლის 20 წლის იუბილე ახმეტელის თეატრის სცენაზე

მე-5 გვერდიდან

კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა – 16. თავდაპირველად სკოლა განთავსებული იყო გლდანის



მე-8 მიკრორაიონში, მაგრამ უკვე ექვსი წელიწადია სარაჯიშვილის 108 ნომერში გადმოვედით, სადაც იჯარით ვიმყოფებით. ჩვენ გავარემონტეთ შენობა და ამჟამად, სკოლა მორგებულია საგანმანათლებულო დაწესებულების სტილს და ძალიან კომფორტულია.

ჩვენთან დასაქმებულია 44 პედაგოგი, ხოლო 8 პედაგოგის თანაშემწეა. სერთიფიცირებულია 14 პედაგოგი, აქედან სამეცნიერო ხარისხი აქვს **გიორგი ღვალაძეს**. 800 დან 1000 ლარამდე ხელფასი აქვთ: **რუსუდან ფარეხელაშვილს**, **ციალა ცაბაძეს**, **მზია ლომიძე**ს, **ბელა გობეჯიშვილს**, **ტოფიკ იბრაგიმოვს**, **ნიაზ დათუკიშვილს**, **მედეა ბოლქვაძეს**, **ლიკა ლაგვილავას**, **თეკლე ბეგიაშვილს** და **ფიქრია ცერცვაძეს**.

სკოლა-ლიცეუმი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. კათედრის ხელმძღვანელები გახლავთ: ქართული ენა და ლიტერატურისა – **დარეჯან ცხომარია**, მათემატიკისა – **ციალა ცაბაძე**, უცხოური ენებისა – **თათია ლაბაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **ბელა გობეჯიშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **ბელა თოდუა**, დაწყებითი კლასების და ესთეტიკური აღზრდისა – **მედეა ბოლქვაძე**. 2015-2016 სასწავლო წელს გვყავდა ორი ოქროს მედალოსანი: **დავით მოლაშხია** და **ნუგზარ ღამბარაშვილი**. მათ უმაღლეს სასწავლებელში 50%-იანი გრანტი მოიპოვეს, ხოლო 70%-იანი – **ია შანიძემ**, 50%-იანი – **ნიკა უბირიამ**. სხვათაშორის, ოლიმპიადებში, კონკურსებში, სხვა აქტივობებში გამარჯვებულნი არიან: **ნუგზარ ღამბარაშვილი**, **დავით მოლაშხია** და **ვანო მაზაშვილი**. სამივე პედაგოგ – **ბელა გობეჯიშვილის** აღსაზრდელები არიან.



აღსანიშნავია, რომ სკოლა – ლიცეუმ „ცოდნა“-ში, პირველი კლასიდან გაძლიერებული პროგრამით ისწავლება **ინგლისური**, **ქართული ენა და ლიტერატურა**, **მათემატიკა** და **კომპიუტერი**. კლასებში საგნობრივი სწავლების პარალელურად შემოღებულია: **რელიგიის ისტორია**, **ლოგიკა**, **მეტყველების კულტურა**, **ზოგადი უნარების სწავლება**, **ჭადრაკი**, **სამეჯლისო ცეკვა** (ხელმძღვანელი – **ვლადიმერ დოგრაშვილი**), **ქართული ცეკვების გაკვეთილები**, სპორტული წრეები (**კალათბურთი**, **ფეხბურთი**, **კარატე**); ასევე, ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია, ქართული ფოლკლორის ანსამბლი და მომღერალთა გუნდი **„ხმა ცოდნისა“** (ხელმძღვანელი – **ბადრი გვილავა**). ქართული ცეკვის ანსამბლი **„აბჯარი“** (ქორეოგრაფი – **გოჩა ყველაიძე**) მეტად პოპულარულია.



ლიცეუმის სასკოლო ოთახები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით არის აღჭურვილი და (ისტ. კაბინეტი) კეთილმოწყობილია 21 კომპიუტერით.

**„ცოდნა“**-ში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები. სკოლას ხშირად სტუმრობენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები. **„ცოდნა“**-ში წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები: მათემატიკაში – **„მოაზროვნე“**, ბიოლოგიაში – **„მწვანე სამყარო“** და გეოგრაფიაში – **„შეიცან სამშობლო“**!

სკოლას აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, აქ სულ 3000-მდე წიგნია. მოსწავლეებს საინტერესო წიგნის შერჩევაში ეხმარება ბიბლიოთეკარი **ეკა თევზაძე**, აყვარებს მათ წიგნის კითხვას.

სკოლის დირექცია და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი საქველმოქმედო საქმიანობაში. მათ მჭიდრო ურთიერთობები აქვთ სათნოების სახლ **„კათარზის“**-თან, ასევე, თანამშრომლობენ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან: **„სათნო გული“**, **„ერთად ვიზრუნოთ და გადავარჩინოთ“**, **„ქართული განათლება“**. ლიცეუმი ასევე ეხმარება, **ჩიკვაიძეების 10 შვილიან ოჯახს**.

დირექტორის თქმით, სკოლის მთავარი მიზანია არამარტო ხარისხიანი განათლება, არამედ ქართული პატრიოტული სულისკვეთებით მომავალი თაობის აღზრდა, მოსწავლეების მომზადება როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საგანმანათლებო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

**ჩვენი გაზეთის რედაქცია ახლ წელს ულოცავს სკოლა-ლიცეუმს და მორიგ წარმატებებს უსურვებს!**

**მზია გურიელი**

---

**თბილისის 140-ე საჯარო სკოლა ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობს**

# მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია



**საახალწლოდ** დედაქალაქის სახელოვან 140-ე საჯარო სკოლას ვესტუმრეთ პედკოლექტივის მიღწევებზე სტატიის დასაწერად. გულთბილად შემხვდა დიდი მასპინძელი, გამოცდილი, ერუდირებული სკოლის დირექტორი **ნინო ასანიძე**. მას მხარში უდგანან ასევე გამობრძმედილი მოადგილეები: **თამარ ნაკაშიძე** და **ლალი კაპანაძე**. საუბარში გაირკვა, რომ სკოლა ახლო მომავალში **50 წლისა** გახდება. სტატია რომ უფრო სრულფასოვანი გამოსულიყო, დირექტორმა ასეთი ვარიანტი შემომთავაზა: იგი დაეწერა სკოლის მემატიანეს, ღვაწლმოსილ პედაგოგს, **ცია ბორცვაძეს**, რომელიც თითქმის სკოლის გახსნის დღიდან აქ ზრდის თაობებს შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, იაკობის ენის სიყვარულით. ჟურნალისტურ ნიჭთან ერთად ქალბატონი ცია თავად გახლავთ დახვეწილი გემოვნების პოეტი. თუ სურვილი ექნება, ჩვენ მის პოეზიას გაზეთში ადგილს სიამოვნებით დავუთმობთ.

მაშ ასე, შემოკლებით გთავაზობთ **ცია ბორცვაძის** წერილს იუბილემოახლოებული სკოლის ცხოვრებაზე.

***

**დიმიტრი ყიფიანის** სიტყვებია: **„ვინც წარსულს ვერ აფასებს, მას მომავალი ზურგს აქცევს“**. ჩემთვის 140-ე საჯარო სკოლა ძალზე საყვარელია და მშობლიურია, რადგან აქ გავატარე ჩემი ახალგაზრდობის უმშვენიერესი წლები. ჩვენი პირველი დირექტორი გახლდათ ცნობილი პედაგოგი **შოთა დავითაია**, რომელსაც დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ მისი აღზრდილები. შემდეგ სკოლას ხელმძღვანელობდა სამამულო ომის ვეტერანი, არაჩვეულებრივი პიროვნება **ამირან თხინვალელი**. **ნუნუ წეროძე**, 20 წლის მანძილზე პირნათლად უძღვებოდა და ამშვენებდა 140-ე საჯარო სკოლას. განა შეიძლება დავივიწყოთ სახელმოხვეჭილი, ქალაქში ცნობილი პედაგოგები: **ელენე მაღალაშვილი**, **ეკატერინე ხელაშვილი**, **ეთერ** და **ესმა მაზიაშვილები**, **ციალა ცინცაძე**, **ნინო ნოზაძე**, **რევაზ თავაძე**, **სერგო სულაძე**, **ბაბორა ქოიავა**, **სუსანა გუგუშვილი**, **ლიდია ჯანბერიძე**, **რუსუდან ებრალიძე**, **ჯემალ ჯიქია**, **იზოლდა ლაბარტყავა**, **ლია ექიზაშვილი**, **ქეთევან დვალაძე**, **მზია კობახიძე**, **ლია თათარიშვილი**, **ჯულიეტა გელაშვილი** და სხვები. ამ სკოლაში აღიზარდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან: **მანანა ნიკოლეიშვილი**, **რამაზ ნიკოლეიშვილი**, **ბათუ ქუთელია**, **ნინელი ჭანკვეტაძე**, **მანანა** და **მაკა მაისურაძეები** („ფორტეს“ მომღერლები), სპორტსმენი (მსროლელი) **ნინო სალუქვაძე**, სკოლის უსაყვარლესი კოლორიტები, აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახებიდან, და-ძმა – **მაიკო** და **ზურაბ ქობალიები**. სახელოვანი ექიმები: **ზურაბ ხაჯალია**, **ლია ჯანელიძე**, **კახა გურგენიძე**, **ვალერიან ხუროძე**, **რევაზ ჯორბენაძე**.

აღნიშნული სკოლა მთელ დილმის მასივში დისციპლინითაც გამორჩეულია. ბრძენს უთქვამს: „თუ წესრიგი არ გაგვაჩნია, ვერც დიდი ჭკუა-გონება გიშველის“. წესრიგი კი საწინდარია სწორი აღზრდისა.

ურთიერთსიყვარულმა და გატანამ მოგვიყვანა აქამდე ამ სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები: **ნელი ჩიხლაძე**, **ნუნუ სირაძე**, **ლალი რუხაძე**, **ნელი ენუქიძე**, **ცია ბორცვაძე**, **თინათინ ყურაშიძე-ოქრუაშვილი**, **მარინე მამულაშვილი**, **ნაილი ახობაძე**, **ლელა მირიანაშვილი**, **მზევინარ ჩიმაკაძე**, **ლელა სალაძე**, **ლედა ჩიტაძე** და სხვები დღესაც დიდი რუდუნებით უძღვებიან თავიანთ საყვარელ საქმეს.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემამ ჩვენი სკოლის კარიც შემოაღო და მეტად საინტერესო სიახლეებით აგვავსო.



უკვე მესამე წელია, რაც 140-ე საჯარო სკოლას სათავეში უდგას გამოცდილი და უდავოდ გონიერი პიროვნება, თავად პედაგოგ-დირექტორთა მწვრთნელი, აქტიური, ენერგიული, სასკოლო რეფორმების ნოვატორი და ხელშემწყობი, თსუ-ს დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ქალბატონი **ნინო ასანიძე**. იგი უაღრესად მონდომებულია, რათა სკოლის სახელმა წინ წაიწიოს, გახდეს სანიმუშო და მისაბაძი.

ამ ხნის განმავლობაში 3-4-ჯერ ჩატარდა „კოსმეტიკური რემონტი“, კეთილმოეწყო სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი. მიუხედავად უამრავი სირთულისა, **ნინო ასანიძემ**, შეძლო მოეწესრიგებინა სკოლის ინფრასტრუქტურა, სველი წერტილები, გათბობის სისტემა, სასკოლო შენობის დერეფნები და სასკოლო ოთახები. ამ საქმიანობაში დირექტორს აქტიურად უდგანან მხარში გამოცდილი მოადგილეები: **თამთა ნაკაშიძე**, **ლალი კაპანაძე** და ადმინისტრაციის წევრები: **თამაზ ოთიაშვილი** და **მარი ჯაში**. დიდი მადლობა დირექტორს, მოადგილეებს, **თამთა ნაკაშიძეს** და **ლალი კაპანაძეს**, რომლებიც გვილამაზებენ სასკოლო ცხოვრებას და გვიიოლებენ მუშაობას.

გაგრძელება მე-7 გვ.

**ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ**

თავს ვიწონებთ ახალგაზრდებით, რომლებმაც თავიანთ პროფესიად პედაგოგობა აირჩიეს. მაღალი პასუხისმგებლობით წარმართავენ საყვარელ საქმეს: **მანანა კაპანაძე**, **ეკა ჟურულიშვილი**, **ნათია შიუკაშვილი**, **ნინო ბაწელაშვილი**, **ეკა მაღლაკელიძე**, **მაია წულაძე**, **მადონა ჩიკვილაძე** და სხვები.



პედაგოგთა 35% სერთიფიცირებულია და ისინი უმეტესად ახალგაზრდები არიან. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა. შემოქმედებითად უძღვებიან საქმეს ხელმძღვანელები: ქართული ენა-ლიტერატურის კათედრისა – **მზია ბურდული**, დაწყებითი კათედრისა – **მანანა აროშიძე** და სხვები. მოწინავე პედაგოგების აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სასკოლო, სარაიონო, ისე საქალაქო ღონისძიებებში, ზოგჯერ – რესპუბლიკურშიც. აკადემიურად რემონტდება ორი დიდი სასკოლო ოთახი. ერთი მათგანი გათვალისწინებულია სამასწავლებლოდ. იგი აღიჭურვება კომპიუტერებითა და ახალი დგამ-ავეჯით. მეორე ოთახი გათვალისწინებულია სააქტო დარბაზად. მალე მოსწავლეთა ძალებით საგულდაგულოდ მომზადებულ სპექტაკლს – **ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეს“** სკოლის სააქტო დარბაზში გვიჩვენებენ და გაგვახარებენ.

უთუოდ უნდა აღვნიშნოთ ხელოვნების მასწავლებლის – **ია გაგუას** თავდაუზოგავი საქმიანობა და სიბეჯითე, რომლისთვისაც სკოლა ნამდვილად მეორე ოჯახად იქცა. ნაზმა ქალბატონმა თავისი სუსტი თითებით შენობის ყველა კუთხე-კუნჭული გაალამაზა და მოსწავლეებს დიდი სამსახური გაუწია სულიერების ამაღლებისა და გაფაქიზების საქმეში.

შექებას იმსახურებენ ფიზაღზრდის მასწავლებლები: **ლედა ჩიტაძე** და **ნატო ლოლუა**. მათ თავიანთი სპორტული საქმიანობით, მოსწავლეთა ფიზიკური წვრთნითა და აქტივობით, მრავალი დიპლომით თუ სიგელით სკოლა ასახელეს. კლასის ხელმძღვანელთა შემოქმედებით საქმიანობაშიც იკვეთება დირექტორის ხელშეწყობა და წაქეზება. ბავშვებთან დედაშვილური დამოკიდებულებით, მაღალი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები: **ნაილი ახობაძე**, **ნათია შიუკაშვილი**, **ცირა კილტავა**, **ლელა კალანდაძე**, **ნელი ენუქიძე**, **მზია ბურდული**, **ეკა ჟურულიშვილი**, **ია გაგუა**, **მარინე ჯაში**, **მაია კაჭარავა**.. განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევიან აღსაზრდელებთან დაწყებითი კლასების დამრიგებლები.

დირექტორმა უკვე მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი. მინდა **ნინო ასანიძეს** პოეტური სტრიქონები ვუძღვნა:

***„გულწრფელ გრძნობას პატივსა ვცემთ, იცოდე,***
***გვსურს, საქმისთვის შენებურად ვიწვოდეთ,***
***რადგან გშვენის დირექტორის „მანტია“,***
***ეგ წყალობა ზეციური მადლია.***
***სამართალი ჩვენს გულშიაც კიაფობს,***
***ვინც არ გალობს, ვერ ვუწოდებთ იადონს.***
***ლამაზი დღის გახსენება ჩვენც გვსურდა,***
***სიყვარული მოგიძღვენით საჩუქრად,***
***ღმერთმა მოგვცეს ღიმილი და დანდობა***
***და მიიღე ჩვენგან დიდი მადლობა“.***





შემოქმედი პედაგოგები გატაცებით მუშაობენ მოსწავლეებთან. ამგვარმა საქმიანობამ გამოავლინა **„საუკეთესო მკითხველი“** მოსწავლეები: **ლუკა ანჯაფარიძე** (მე-11[1]) და **გიორგი პატაშური** (მე-11[1]), რომლებმაც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესოდ წაკითხვისათვის უკვე მეორედ, დიპლომი და სიგელი დაიმსახურეს.

თბილისის დიდუბის რაიონის სკოლის მოსწავლეთა კონკურსში მონაწილე **ნინო სარალიძე** (მე-11[2]) საუკეთესო ესეს დაწერისათვის გამარჯვებულთა ხუთეულში მოხვდა და სპეციალურ ჟურნალში ჩაიწერა მისი ნაშრომი, სახელწოდებით **„ომი და მშვიდობა“**. საგნობრივ ოლიმპიადებსა და ტურებში წარმატებას მიაღწიეს ჩვენი სკოლის შემდეგმა მოსწავლეებმა: **ნინო სარალიძე** (მე-11[1]) და ბევრი სხვა. კიდევაც დაიზრდებიან!

**„თვით ჯაბანს კაცსა გაამხნევებს**
**კარგი კაცისა სარდლობა“**, – ამას ცია ხელმძღვანელების მისამართით ამბობს.

**ევროპული სტანდარტებისკენ თვალი თამამად გვიჭირავს.**

**ᲪᲘᲐ ᲑᲝᲠᲪᲕᲐᲫᲔ**

***რედაქტორის მინაწერი:***
*გვჯერა ამ სიტყვებისა. გილოცავთ, შობა-ახალ წელს და ახალი სიმაღლეების დაპყრობას გისურვებთ!*

## ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲝ

### ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ

**გადასასვლელ** ხიდთან რომ სკოლაა, იქ დავრეკე. ყველა მიცნობდა, როგორც ღვაწლმოსილ პედაგოგს. კომპიუტერის ოპერატორს რედაქციაში ფოტომასალა უნდა გადმოეგზავნა. ოპერატორი ხუთი დღე არ იქნება, მერე მობრძანდითო, – მიპასუხა საქმეთამმართველმა, – რაღაცა წინასწარ შესათანხმებელი მაქვს. მისი მობილური ან ბინის ტელეფონის ნომერი მომეცით-მეთქი. – რასა ბრძანებთო, – შეიცხადა, – პირადი ნომრის გაცემა სასტიკად გვეკრძალებაო. – ის ქალბატონი ძალიან კარგად მიცნობს-მეთქი. მერე რაო, ვერ მოგცემო. – განათლების მინისტრმა რომ გთხოვოთ? არც – იმასო. თქვენთან არის ასეთი წესი-მეთქი? ყველა სკოლაში ასეაო.

როცა რიგითი თანამშრომლის ასეთი „დაცულობაა“, ნუ გაგიკვირდებათ, თუ სკოლის დირექტორის მისამართი ვერასოდეს გაიგოთ.

### ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲚᲘᲥᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

**შერჩევითი** განა მარტო სამართალია? მლიქვნელობაც ყოფილა. მლიქვნელობას, მუხლებით ხოხვას რაღა შერჩევა უნდაო? – ეღიმება მკითხველს. თუ არ უნდა, აბა, კარგად მომისმინეთ!

სკოლის დირექტორთან მიღებას ველოდები. დირექტორმა კარგად იცის, მე, მოსე მწერალი ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტი ვარ. – დამელოდოსო, – შემომითვალა თანაშემწის პირით.

კაბინეტიდან სიცილ-ხარხარი მესმის. „მთანი მაღალნი დგანან და ელიან“. აინუნშიც არავინ მაგდებს. ზარმა დაიწკრიალა. „მეშველა, მიმიღებს“! გავიფიქრე.

გიჟივით შევარდა თანაშემწე და... გამოვარდა. არიქა, ატყდა ფაცი-ფუცი: **„სამინისტროდან მოდიანო!“** სულ მალე დათვივით კაცმა თავი შეყო დირექტორის კაბინეტში. ისევ გაიმართა სიცილ-ხარხარი. – დღეს ვერ მიგიღებთო, სამინისტროდან **დიდი კაცი** მოვიდაო, – მორიდებით მაცნობა კანცელარიის თანამშრომელმა. ვაი, შენს მოსესა!

მალე გავარკვიე, ის **დიდი კაცი** ამ სკოლის მოსწავლის მშობელი და სამინისტროს რომელიღაც საწყობის მეკუჭნავე ყოფილა.

### ᲬᲙᲘᲞᲣᲠᲢᲞᲐᲠᲝᲓᲘᲔᲑᲘ

**„სასწრაფოდ** დაფარეთ დავალიანება!“ – გვმოძღვრავს საკრედიტო კომპანია. – დაფარვის შეძლება რომ მქონოდა, ვალს ავიღებდი?

***

**რუსთაველის ხმაზე**: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.

***

**ბარათაშვილის ხმაზე**: „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

***

**რაფიელ ერისთავის ხმაზე**: „მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

***

**ხალხის ხმაზე**: „ჩვენ აქ გვყავდა უწვერული განათლების მინისტრი, განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში“.

***

„ეს თბილისი, რომ არ გვსურდა, ისე გაგვიინგლისურდა“.

**ᲛᲝᲡᲔ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ**

**ᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲕᲘᲠᲝᲗ!**

## „ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲗᲣ „ᲠᲐᲘᲝᲜᲘ?“

**სოფელ** კოდის დასაწყისში, ტრიალ მინდორზე დგას რკინის ბოძი და აწერია **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. მანამდე მუდამ ეწერა **„თეთრიწყაროს რაიონი“**.

**„მუნიციპალიტეტი“** გერმანულად არის **„თვითმმართველობა“**. **„რაიონი“** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ტერიტორიას, ადმინისტრაციულად შემოსაზღვრულ სივრცეს, მიწის ფართობს, რომელიც ეკუთვნის თეთრიწყაროს მოსახლეობას. აშკარაა შინაარსობლივი სხვაობა. უფრო კი – კურიოზი. სად ერეკლე და სად თეკლეო. რა გამოდის? თურმე ის შიშველი ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. არადა, ეს სიტყვა უნდა ეწეროს იმ შენობას ქალაქისას, სადაც ორგანიზაცია თვითმმართველობისა არის განთავსებული. ისე, როგორც აწერია: **„სამინისტრო“**, **„სამმართველო“**. წარმოიდგინეთ შიშველ ბოძს ეწეროს **„სამმართველო“**.

ამ ლოგიკით, სკოლებში, უნივერსიტეტებში არსებულ თვითმმართველობას უნდა ერქვას **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**, სარაიონო შეჯიბრებას – **„მუნიციპალური შეჯიბრება“**.

სირცხვილი იმ კაცს, ვინც ეს სისულელე დააკანონა!



## შობა-ახალ წელს გილოცავთ, „გორა-ბაღელებო!“

# როცა მთავარი ცეროდენების სიყვარულია



**„გორა-ბაღი“** თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, ავლაბარში მდებარეობს და მას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი, 1938 წელსაა დაარსებული და მოწინავე, ტრადიციულ საბავშვო დაწესებულებად ითვლება.

„გორა-ბაღი“ პატარებისათვის საყვარელი ადგილია, რადგან აქ მათთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი, რომ თავი ოჯახურ გარემოში იგრძნონ. ბაღის ეზო გამწვანებული და მოპირკეთებულია. რამდენიმე თვეა, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** ხელშეწყობით, დამონტაჟდა სხვადასხვა ატრაქციონები. ბაგა-ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე და წესრიგი. დერეფნები და ოთახები მორთულია ნახატებით, პატარებისა და მათი აღმზრდელების ერთობლივი ნამუშევრებით. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და თბილი წყლის სისტემა. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და საბავშვო ლიტერატურით.

„გორა-ბაღი“-ს დირექტორია ახალგაზრდა, ენერგიული, მეტად გამოცდილი ქალბატონი **ეკა აღნიაშვილი**. იგი, ამ ბაღის აღზრდილია და ამიტომ განსაკუთრებით უყვარს აქაურობა. ქალბატონი ეკა პროფესიით ბიოქიმიკოსია და ასევე, აქვს ქორეოგრაფიული განათლებაც. ბაღში, თავდაპირველად ცეკვის მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 2007 წელს, კონკურსის შედეგად დაინიშნა დირექტორად. იგი, უკვე, ცხრა წელიწადია მშვენივრად უძღვება ბაღის ცხოვრებას. მისი მოსვლის დღიდან აქ მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა, გარემონტდა შენობა და სისტემატურად მიმდინარეობს განახლებითი სამუშაოები. ბაღს დაემატა ჯგუფები, იყო 9 და ამჟამად 12 ჯგუფია. სულ 460 აღსაზრდელია. ასევე, ადაპტაციას გადის სამი ინკლუზიური ბავშვი, რომლებთანაც სპეც. პედაგოგი, დამხმარე მასწავლებელი, მეთოდისტი და ფსიქოლოგი მუშაობენ.



ბაღში, წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“** და ბავშვების კარგად მომზადებისათვის, სკოლებიდან ხშირად იღებენ მადლობის ბარათებს. შარშან, დამოუკიდებელმა საერო-გიმნაზია **„შავნაბადა“-მ** „გორა-ბაღი“ მადლობის სიგელით დააჯილდოვა. ამჟამად, ბაღში სამი გამოსაშვები ჯგუფია და რამდენიმე თვეში 150 პატარას დაულოცავენ გზას სკოლისაკენ.



**ეკა აღნიაშვილი:** ჩვენთან ხშირად ტარდება ღია გაკვეთილები და თემატური ღონისძიებები, მაგალითად, შემოდგომის და საახალწლო ზეიმები, „დედის დღის“ აღნიშვნა და ა.შ. ასევე, მოვაწყეთ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიება. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კი, ჯგუფებში ვატარებთ შემაჯამებელ მეცადინეობებს, რომელსაც მშობლებიც ესწრებიან და ძალიან კმაყოფილები მიდიან. მეტად ნიჭიერი და გონიერი ბავშვები გვყავს, ისინი თამაშ-თამაშით და თვალსაჩინოებებით სწავლობენ წერას, კითხვას, ამიტომაც, სკოლაში უკვე მომზადებულები მიდიან, გვყავს შესანიშნავი აღმზრდელები, რომლებიც დედასავით ზრუნავენ პატარებზე და არ აკლებენ მათ ყურადღებას. სტაჟიანი თანამშრომლები და ახალგაზრდა, პროფესიონალი კადრებიც გატაცებით მუშაობენ.

დირექტორს მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილეები **ეთერ აბაშიძე** და **ხათუნა ხუციშვილი**, მეთოდისტი **ნანი გელაშვილი**, ფსიქოლოგი **ემა გეგელაშვილი**, სპეც. პედაგოგი **ნაირა ღვალაძე**, დამხმარე მასწავლებელი **ირინე გოდერძიშვილი,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნინო პეტრიაშვილი,** ბუღალტერი **ზაურბეგ ჩიტიშვილი** და სხვები.

აღსაზრდელების ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ზრუნავს ექთანი **ქეთევან დალაქიშვილი**. პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული **ნელი მოდებაძე** და მისი დამხმარეები: **გულნარა გოგობერიშვილი**, **ლეილა ჯანიაშვილი** და **ლეილა კანტიძე**.

ბაღის ყველა ზეიმისა და დღესასწაულის სულისჩამდგმელები არიან მუსიკის მასწავლებლები: **მაია პანიევი** და **მარგალიტა ბახუდარიანი**. ქალბატონი მარგალიტა კონსერვატორიის კურსდამთავრებულია, იგი თავად არის კომპოზიტორი და ბავშვებისთვის შესანიშნავ სიმღერებს წერს.

ცეროდენებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებს ილიკო სუხიშვილის სახელობის სკოლა-სტუდიის პროფესიონალი მოცეკვავე და ანსამბლ **„აფხაზეთის“** წევრი **ნინო პაპავა**.

ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ ცხოვრების ანბანს ასწავლიან აღმზრდელები. **მარიკა დორეული, ნინო მწარიაშვილი, ირმა ხუციშვილი, თამარ ნოშრევანიშვილი, ცირა მათიაშვილი, თეა ცხადაძე, ანა გასპარიანი, ლია ალადაშვილი, შორენა ალექსაია, ევა პანიევა, ეკატერინე ტორაძე, ეკა ჩინჩალაძე** და **თამარ ჯიმუხაძე**.

ქებას იმსახურებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ფიქრია კაპანაძე, ნინო გიორგაძე, ასია ბაიანდუროვი, ეკატერინე თუშიშვილი, თამარ ლომიძე, მაკა სოფრომაძე, ეკატერინე მახარაშვილი, ხათუნა ალავერდაშვილი, მარინე ბეჟიაშვილი, იამზე კვინიკაძე, თამარ გოგოძე** და **ხათუნა ყაველაშვილი**.



**ეკა აღნიაშვილი** მაღალ შეფასებას აძლევს ტექნიკური პერსონალის საქმიანობას, რომელთა დიდი ძალისხმევით ბაღში მუდამ წესრიგი და სისუფთავეა. ესენია: **ნანული მამაცაშვილი, ლალი ურგებაძე, ელმირა ბაინდუროვი, ია მახარაშვილი, დარეჯან ჯანგირაშვილი, იანა ოგანეზოვი, ლალი ჯამალაშვილი, თინათინ ტოტოხაშვილი, თამარ კამალაშვილი, მალინა რამიშვილი, თამარ ჩაჩანიძე, ილია ჩიტიშვილი, ნიკოლოზ გოგობერაშვილი, ალბერტ კანანოვი, ელგუჯა ბელიაშვილი** და **რაფიელ მაზმანოვი.**

ბატონ **რაფიელს**, დირექტორი საჯაროდ უხდის მადლობას, რადგან მან ბაღის შენობა ხანძარს გადაარჩინა, რომელიც მოკლე ჩართვის შედეგად განვითარდა.



საგულისხმოა, რომ **„გორა-ბაღში“** მეგობრული და თბილი გარემოა შექმნილი. აქ მთელი კოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული და გუნდური პრინციპით მუშაობენ. ცუგრუმელებს კი, სიყვარულსა და სითბოს არ აკლებენ. ამიტომაც, მშობლებიც კმაყოფილნი არიან და ბაღის პოპულარობაც იზრდება.

**შობა-ახალ წელს გილოცავთ, „გორა-ბაღელებო!“**

**მზია გოგოძე**



მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 1 (4540)
11 იანვარი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113